Funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

INTEGRITY

ისწავლე აკადემიური წერა და თავი აარიდე პლაგიატს

აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის პრევენცია კავკასიის უნივერსიტეტში

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

WWW.CU.EDU.GE

აკადემიურ ტექსტში აუცილებელია სამეცნიერო ნაშრომების (სტატიების, წიგნების, დისერტაციების...) გამოყენება და დამოწმება, რათა დაცული იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების ყველა პრინციპი.

აკადემიური კეთილსინდისიერება ეფუძნება პასუხისმგებლობის, პატივისცემის, ნდობის, სამართლიანობის და ღირსების შეგრძნებას აკადემიურ საქმიანობაში.

წესები, რომლებიც უნდა დაიცვა სხვისი მოსაზრების აკადემიურად დამოწმების დროს:

ციტირება:

ციტატები სანდო სამეცნიერო წყაროებიდან ამოიღე. იმ შემთხვევაში, თუ ციტატა დაგეხმარება არგუმენტის გასამყარებლად.

პარაფრაზირება:

აკადემიური ნაშრომის ტექსტში უფრო მეტად პარაფრაზირებაა საჭირო. ასეთ დროს სხვისი მოსაზრების შინაარსს უცვლელს დატოვებ და ტექსტის 90%-ს სინონიმური სიტყვებითა და ფრაზებით გადმოსცემ. აუცილებელია წყაროს დამოწმება. პარაფ-რაზირებული ტექსტისა და ორიგინალი ტექსტის მოცულობა დაახლოებით მსგავსია.

რეზიუმირება:

სხვის სამეცნიერო ნაშრომს ან ტექსტიდან მოზრდილ მონაკვეთს გადმოსცემ მოკლედ და, რა თქმა უნდა, დაიმოწმებ წყაროს. ამ დროს ტექსტის მოცულობა მნიშვნელოვნად მცირდება. ეს მეთოდი გამოგადგება ლიტერატურის მიმოხილვის თავისა და თეორიული ჩარჩოს დასაწერად.

მკაფიოდ გამიჯნე საკუთარი და სხვისი მოსაზრება ტექსტში:

რეზიუმირების წესების დაცვით, დაიმოწმე წყარო და შემდეგ გამოხატე საკუთარი მოსაზრება. პარაფრაზირებისა და რეზიუმირების დროს უნდა ახსენო ის მეცნიერი (ან მეცნიერთა ჯგუფი), რომელსაც კონკრეტული მოსაზრება ეკუთვნის. წყაროს დამოწმების შემდეგ კი კრიტიკულად განიხილე აღნიშნული მოსაზრება: შეადარე სხვის კონცეფციას, დაეთანხმე, გაიზიარე ან უარყავი ავტორის დებულებები საკუთარი არგუმენტაციის საფუძველზე.

გაეცანი ციტირების სხვადასხვა სტილსა და მათ შესახებ დაწერილ გზამკვლევებს:



კავკასიის უნივერსიტეტში ყველაზე ხშირად გამოიყენება ე.წ. APA სტილი. გზამკვლევსა და დამოწმების წესებს იხილავ კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ასევე შეგიძლია მდიდარი ინფორმაცია მოიძიო გუგლის საძიებო სისტემაში.

სად შეგიძლია წაიკითხო სანდო სამეცნიერო პუბლიკაციები?

ამისათვის ეწვიე კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდს, მოძებნე ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო ბაზების კატეგორია. სამეცნიერო ბაზებში იპოვი უამრავ საინტერესო უცხოურ პუბლიკაციას. დეტალური ინფორმაციისათვის მიმართე ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლებს.

პლაგიატის პრევენციისათვის უნივერსიტეტში დანერგილია პროგრამა „ტურნიტინი“ (Turnitin), პროგრამის მოხმარებისა და სხვა დეტალური ინფორმაციისათვის მიმართე უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრს: tchokoraia@cu.edu.ge